საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 1 19 03214402

02/12/2019

შ.პ.ს „უსკ“-ის (ს/კ 205194270) დირექტორს
ბატონ **პაატა შარაშიძეს**

ბატონო პაატა,

თქვენი 2019 წლის 26 ნოემბრის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 26.11.2019; N3166930) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირ N70-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 5/47), ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ს/კ 01.14.15.001.324) და სარაჯიშვილის გამზირი, ღვინის ქარხნის მოპირდაპირედ (ს/კ 01.11.12.02.069) არსებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების, საცხოვრებელი ჯგუფის ფართობებში, ხანძრის ავტომატური საშხეფი სისტემები მოწყობის აუცილებლობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით მიღებული წესისა, შენობების საცხოვრებელი ფართობები არ ექვემდებარება ხანძრის ავტომატური საშხეფი სისტემებით დაცვას, კერძოდ:

1. **სარაჯიშვილის გამზირი, ღვინის ქარხნის მოპირდაპირედ:**

აღნიშნული შენობისათვის შედგენილ საექსპერტო დასკვნაში, შენობის საცხოვრებელ (ც-2) ფართობებზე ავტომატური საშხეფი სისტემის მოწყობაზე მოყვანილია ორი გარემოება:

გარემოება 1 - 420.4 ავტოსაშხეფი სისტემა. დწ-1 ჯგუფის დაკავებულობები მთლიანად უნდა აღიჭურვოს 903.2.6 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. სწრაფრეაგირების ან საცხოვრებლის ავტოსაშხეფები უნდა დააყენონ 903.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
განგიმარტავთ - აღნიშნული ქვეპუნქტი ვრცელდება დწ-1 ჯგუფის დაკავებულობებზე და არა შენობის სც-2 ჯგუფის შემცველ დაკავებულობებზე.

გარემოება 2- 903.2.11.3. 16.8 მ და მეტი სიმაღლის შენობები. ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ შენობებში, სადაც სახანძრო განყოფილების ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა მდებარე იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა 30 ან 30-ზე მეტია.
განგიმარტავთ - იმის გათვალისწინებით, რომ 903 ქვეთავში (ავტოსაშხეფი სისტემები) ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის ვალდებულება შენობის ყველა დაკავებულობის ჯგუფებზე გაწერილია ცალკ-ცალკე, ხოლო 903.2.8 ქვეპუნქტის პირველი გამონაკლისი კონკრეტულად განსაზღვრავს სც-2 ჯგუფში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის ვალდებულებას, ამას ემატება ისიც რომ 403.3 ქვეპუნქტის მესამე გამონაკლისიც კი არ ავალდებულებს შენობების სც-2 შემცველ დაკავებულობებში ავტოსაშხეფი სისტემების მოწყობას, შესაბამისად 903.2.11.3 ქვეპუნქტი ვრცელდება მხოლოდ იმ დაკავებულობებზე, რომელიც არ არის გაწერილი 903 ქვეთავში (მაგალითად საქმიანი ჯგუფი (სქ)- ოფისები, უმაღლესი სასწავლებლები, ბანკები და ა.შ)
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საექსპერტო დასკვნაში მოყვანილი არგუმენტიები არ შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

2. ნუცუბიძე -ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ.

აღნიშნული შენობისათვის შედგენილ საექსპერტო დასკვნაში ხანძრის დაცვის ავტომატური საშხეფი სისტემების მოწყობაზე გაკეთებულია შემდეგი შეფასება.

„მიუხედავად იმისა, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანების მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მეტრზე ზემოთ, პროექტის მიხედვით განსახილველ შენობაში არის ისეთი გარემოებები რომელიც ითხოვს მთლიანი შენობის ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას.“

გარემოება 1 – „საპროექტო შენობის გასასვლელ საშუალებას წარმოადგენს შიდა გასასვლელის ორი გზა კიბე, რომელთან მისადგომი გზა-კარები ერთმანეთისაგან 1015.2.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მოთხოვნათა შესაბამისად (შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით) დაშორებულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთ მესამედზე“.
განგიმარტავთ -1015 ქვეთავი განსაზღვრავს სივრცეებიდან გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომი გზა კარების მოწყობის წესს და არა კიბის უჯრედების ან მასში განთავსებული კარების მოწყობის წესს, ამას ადასტურებს 1015.1 ცხრილიც, სადაც მოცემულია მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის რაოდენობები იმ სივრცეებზე ანუ ფართობებზე სადაც იმყოფებიან ადამიანები (დერეფნებს არ გააჩნია დაკავებულობის დატვირთვა). 1015.2.1 ქვეპუნქტი ასახავს კონკრეტული დაკავებულობის დატვირთვის მქონე სივრცის ნებისმიერი მონაკვეთიდან დერეფნამდე გამოსასვლელ ორ კარებს შორის (სივრცეს თუ ეკუთვნის ორი

არების ან/და მეტის მოწყობა) მანძილს. ამასთან ერთად, ვინაიდან 403.5 ქვეთავში განსაზღრულია გასასვლელი საშუალებები და ევაკუაცია, ხოლო შენობების კიბის უჯრედებში მოწყობილი კარები არის კიბის უჯრედების შემადგენელი ნაწილი და ის საევაკუაციო გასასვლელი, რომლითაც უნდა განხორციელდეს ევაკუაცია, ქვეპუნქტი 403.5.1-ის შესაბამისად გზა-კიბეები ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს არანაკლებ 9 მეტრით ან/და შენობის საერთო დიაგონალის მაქსიმალური სიგრძის არანაკლებ მეოთხედით, რაც დაპროექტების დოკუმენტაციაში დაცულია.

გარემოება 2- „ჩიხური დერეფნის სიგრძე აკმაყოფილებს 1018.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: არცერთი დერეფნის ჩიხის სიგრძე არ აღემატება 15 მეტრს, რაც დასაშვებია 1018.4 ქვეთავის მე-2 გამონაკლისით, ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით".
განგიმარტავთ - გაურკვეველია ამ ქვეპუნქტის შესაბამისად ავტომატური საშხეფი სისტემების მოწყობის ვალდებულება, ვინაიდან სც-2 ჯგუფის დაკავებულობებს, მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის დერეფნებს, საერთოდ არ გააჩნია ჩიხური მონაკვეთები.

გარემოება 3 – „მიწისზედა სართულებს ემსახურება ორი მისაწვდომი გზა-კიბე და ერთი ლიფტი, რომელიც 1007.2.1 ქვეთავის მიხედვით, აუცილებელია, რომ იყოს მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, ვინაიდან შენობა აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, 1007.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისის თანახმად, აღნიშნული გზა კიბეები ითვლება მისაწვდომ გასასვლელ საშუალებად, მიუხედავად იმისა, რომ გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის 1.2 მეტრზე ნაკლებია".
განგიმარტავთ - გაურკვეველია 1007.3 ქვეპუნქტის პირველი გამონაკლისის თანახმად ავტომატური საშხეფი სისტემების მოწყობის ვალდებულება, ვინაიდან, 1007.3 ქვეპუნქტი სართულებს შორის მდებარე გზა-კიბეების თავისუფალ სიგანეს, სახელურებს შორის 1.2 მეტრს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ შენობაში საჭირო ხდება თავშესაფრის ფართობების მოწყობა. ამასთან ერთად 1007.3 ქვეპუნქტის მე-6 გამონაკლისის თანახმად კი, სც-2 ჯგუფის დაკავებულობები თავშესაფრის ფართობების მოწყობას არ საჭიროებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საექსპერტო დასკვნაში მოყვანილი არგუმენტები არ შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

3. გურამიშვილის გამზირი N70-ის მიმდებარედ.

გაურკვეველია შენობის სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში ავტოსაშხეფი სისტემების მოწყობის თაობაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვა, რადგანაც საექსპერტო დასკვნაში ცალსახად არის მოცემული, რომ „ვინაიდან საპროექტო შენობის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს 37 მეტრზე ზემოთ, ამიტომ 903.2.8 ქვეპუნქტის პირველი გამონაკლისის თანახმად, საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობები აღნიშნული სისტემის მოწყობას არ საჭიროებს".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი სამივე შენობის ბოლო სართულის იატაკი, სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე

ქაბალი დონიდან არ აღემატება 37 მეტრს, შენობების სც-2 ჯგუფის დაკავებულობების ფართობებში (მრავალბინიანი საცხოვრებელი), ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის ვალდებულება არ გაგაჩნიათ.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ



ელექტრონული საგადახდო დავალება No 6388

იგჩძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

Transfer Order No 6388

თარიღი/Date: 17/01/2019 რეფერენს ნომერი/Reference number:

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

ჯადამხდელის დასახელება/Originator შპს მეგობრობა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE73BG0000000516440300GEL	თანხა/Amount 9000 GEL
ჯადამხდელის ბანკი/Originator Bank საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ცხრა ათასი ლარი 00 თეთრი
ჯადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს მეგობრობა	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 400015032	
ჰიმღების დასახელება/Recipient ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში. სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773194	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
ჰიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
ჯადახდის დანიშნულება/Description სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info INFORMATION		შტამპი:
ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:	ბეჭედი:	
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		

ელექტრონული საგადახდო დავალება No 6388

იგჩძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

Transfer Order No 6388

თარიღი/Date: 17/01/2019 რეფერენს ნომერი/Reference number:

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

ჯადამხდელის დასახელება/Originator შპს მეგობრობა	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE73BG0000000516440300GEL	თანხა/Amount 9000 GEL
ჯადამხდელის ბანკი/Originator Bank საქართველოს ბანკი	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ცხრა ათასი ლარი 00 თეთრი
ჯადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს მეგობრობა	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 400015032	
ჰიმღების დასახელება/Recipient ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო	ანგარიში. სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773194	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
ჰიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
ჯადახდის დანიშნულება/Description სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info INFORMATION		შტამპი:
ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:	ბეჭედი:	
მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-0119232949**
თარიღი: **20/08/2019**
პინი: **4884**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს მეგობრობა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400015032
მისამართი: ქ. თბილისი, ივანე კაჭარავას 39

თქვენი N10/011190172807-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გამზირი გურამიშვილი, N70, მიმდებარედ (საკ. კოდი N01.12.01.005.047) 2018 წლის 5 აპრილის N3900762 (AR1571994) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

-9.00 ნიშნულიდან ±0.00 ნიშნულის ჩათვლით „5“, „7“ და „9“ ღერძებზე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია სართულების სიმაღლე. კიბის უჯრედებში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა, ასევე კიბის უჯრედებში მოაჯირების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს. შემცირებულია სართულშუა გადახურვის ფილის სისქე. ±0.00 ნიშნულის ქვევით „დ“ ღერძზე „2-4“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კედლის მდებარეობა. „1“ და „2“ ღერძებზე არ არის მოწყობილი სავენტილაციო შახტები. +4.20 ნიშნულზე და მის ზევით დერეფნებში და ტამბურებში, შახტებში არ ფიქსირდება განიავებისთვის განკუთვნილი ღიობები, ამავე ნიშნულებზე ნაწილობრივ შეცვლილია ოფისებში და ბინებში შესასვლელი კარების მდებარეობა. „დ“ და „8“ ღერძების კვეთასთან კარები მოწყობილია კოლონის პირზე. „დ“ ღერძის გარეთ აივნებზე გაუქმებულია კაპიტალური კედლები და მის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები, ასევე შეცვლილია მოაჯირების ნახატი და გაზრდილია მათი სიმაღლე. +7.40 ნიშნულზე და მის ზევით „დ“ ღერძის გარეთ ნაწილობრივ გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტები და დამატებით მოწყობილია კედლები, რის გამოც გაზრდილია ფართი, ამავე ნიშნულებზე „ა“ ღერძის გარეთ „3“ და „10“ ღერძებზე შემცირებულია კედლის სისქე. ნაწილობრივ „ა“ ღერძის გარეთ საქვაბეებში გაუქმებულია ბინიდან შესასვლელი კარები და ნაწილობრივ შეცვლილია საქვაბის გაბარიტები. „1-1“ და „4-4“ ჭრილის ნახაზებზე „დ“ ღერძზე სრულად არ არის რიგელები ნაჩვენები. პროექტში მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის განსხვავებული აღნიშვნით ნაჩვენები. ტერიტორიაზე „10“ ღერძის გარეთ ფიქსირდება საყრდენი კედელი, რომელიც სცდება საკადასტრო საზღვრებს.

„1-10“ ფასადი: ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატი. +4.20 ნიშნულზე „1-2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მეტალის ჟალუზი.

„10-1“ ფასადი: „9-8“ მონაკვეთში, კიბის უჯრედში შეცვლილია ღიობების გაბარიტები, ხოლო „6-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობები.

±0.00 ნიშნულზე: „ა“ ღერძზე ვიტრაჟები მოწყობილია კოლონების გარე პირზე. „6“ ღერძზე და მის მარცხნივ ჰოლში, ბლოკის კედლების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები და ნაწილობრივ შეცვლილია მისი ფორმა.

+7.40 ნიშნულზე: „1-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები და რიგელები. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.
პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის
მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

30.09 2019